პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ХВИРА, 21 АВГИСТОМ, 1949 Г. № 166 (8469). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

წყალთა მეურნეობის მუშაკთა ღირსების საქმე—მოწინავე (1-ლი გვერდი).
დავით გურამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის პასუხი იუგოსლავიის მთავრობის ნოტაზე საბჭოთა მოქალაქეების უკანონო დაკავებისშესახებ (მე-2 გვერდი).
მოსავლის აღება და პურის დამზადება (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — ი. გრიშაშვილი — „ძველ თეატრში" (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

წყალთა მეურნეობის მუშაკთა ღირსების საქმე

წყალთა მეურნეობის სამუშაოთა დროულად და ძაღლბრისხოვნად შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოციალისტური სოფლის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში. ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ხალხთა ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი უდიდეს ყურადღებას აქცევენ სოფლის მეურნეობის კულტურათა ძორწყვისა და დაკაობებული ადგილების ამოშრობის საკითხებს. პარტიამ და მთავრობამ ფართო შეტევა მოაწყეს გვალვის წინააღმდეგ. მთელი საბჭოთა ხალხი დიდი წარმატებით შეუდგა ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელებას.

ომისშემდგომ წლებში ჩვენი რესპუბლიკის ბოლშევიკებმა ატკიცად მოკიდეს ხელი წყალთა მეურნეობის სამუშაოებს. განახლდა რესპუბლიკის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სარწყავი სისტემის — სამგორის მშენებლობა. სამგორი სახალხო მშენებლობად გადაიქცა. ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა მხურვალე მონაწილეობას იღებს სამგორის მშენებლობაში.

უკანასკნელი წლების მანძილზე დამთავრდა კეხვის, დოეს-გრაკლის და სკრა-ქარელის არხების მშენებლობა. სერიოზული სამუშაოები ჩატარდა სალთვისისა და ალაზნის არხებზე, რომელთა მშენებლობა მთლიანად უნდა დამთავრდეს 1950 წელს.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ პარტიული და საბჭოთა ორგანოებიცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად დასახა სარწყავი სისტემების მშენებლობის იმ ვარიუდით გაფართოება, რომ უახლოესი 7-8 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნას აღმოსავლეთ საქართველოს და იმერეთის მთელი დაბლობი ნაწილის მორწყვა. სარწყავი არხების მშენებლობის მიმდინარე წლის გეგმის წარმატებით შესრულებით საფუძველი უნდა ჩავუყაროთ ყრილობის გადწყვეტილების რეალიზაციის საქმეს.

საშენებლო სამუშაოთა მასშტაბი დიდია. იმერეთში მიმდინარეობს ალგეთის არხის მშენებლობა. ეს არხი მორწყავს ზესტაფონის, ჩხარის, ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონების 6.000 ჰექტარ მიწას. შენდება აგრეთვე თეზი-ოკამის სარწყავი სისტემა ქართლში, ენანთისა—სამხრეთ ოსეთში, ხაშმი-პატარძეულის არხი — საგარეჯოს რაიონში, ეწრისა — ჩხარის რაიონში და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ წყალთა მეურნეობის დარგში კაპიტალური მშენებლობანი საქართველოს წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხაზით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მშენებლობის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 79,1 პროცენტით. ჩამორჩნენ სალთვისისა და ალაზნეთის სარწყავი სისტემები. კარის რაიონმა სალთვისის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე მიწის სამუშაოების ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 52,1 პროცენტით, დაბეტონებისა — 62,8 პროცენტით. ქარელის რაიონმა დაბეტონების ნახევარი წლის გეგმა 53,3 პროცენტით გაანაღდა. გაგრის რაიონმა ახალი კოლხიდის დაბლობის ამოშრობის მიწის სამუშაოთა ნახევარი წლის დავალება მხოლოდ 47,3 პროცენტით შეასრულა, მაშინ, როცა ეს სამუშაო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უნდა დამთავრებულიყო. მშენებელი კანტორების ხელმძღვანელები არ იჩენენ სათანადო ინიციატივას მუშათა მუდმივი კადრების მერჩევისა და შენარჩუნების საქმეში.

სარწყავი სისტემების მშენებლობაში ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია ზოგიერთი რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს მშენებელი კანტორების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. პარტიის რაიონული კომიტეტები, რაისაბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო ვალდებული არიან სათანადო დასკვნა გააკეთონ შექმნილი მდგომარეობიდან და „უზრუნველყონ მშენებლობის კალენდარული გეგმის შესრულება.

სარწყავი სისტემების მშენებლობა დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საქმეა. საქართველოს კ. პ. (ბ) ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში თქვა: „სარწყავი არხების მშენებლობა უფრო ორგანიზებულად და ენერგიულად უნდა წარმოებდეს. მშენებლობის გეგმები არა მარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაპარბებითაც უნდა სრულდებოდეს.

ამას წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღეს, რომ რაიონების მუშაობის შედეგების შეფასებისას წყალთა მეურნეობის სამუშაოთა შესრულება მიჩნეულ იქნება ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად. ამ გადაწყვეტილებამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონინოს რაიონების ხელმძღვანელებს ახალი არხების მშენებლობის გიგმის შესრულებისა და მოქმედ სარწყავ სისტემათა დაცვის საშუშაოებისათვის".

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს არხების მშენებლობისა და კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოებზე შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ძალების სწორად გახაზულებას, მოწყობილობათა სრულად გამოყენებას, სამშენებლო მასალების — კერძოდ ცემენტის, ხე-ტყის მასალის, აგრეთვე მექანიზმების და სატრანსპორტო საშუალებათა დროულად მომარაგებას.

მნიშვნელოვანი სამუშაოა ამოშრობილი მიწების ათვისება. კოლხიდმშენის მუშაკთა, აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორიისა და ხობის რაიონების ხელმძღვანელთა ვალია უზრუნველყონ გეგმით დასახული ფართობების ამოშრობა ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად.

სოფლის კომუნისტებისა და კომკავშირელების ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა მასებში პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლა. ბოლშევიკური აგიტაცია საუკეთესო საშუალებაა კოლმეურნე მასების დარაზმვისათვის წყალთა მეურნეობის დარგში დასახულ ამოცანათა შესასრულებლად.

სარწყავი სისტემების მშენებლობის წლიური გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, ამ დარგში არსებული ჩამორჩენის გამოსწორება ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, წყალთა მეურნეობის მუშაკების ღირსებისა და სახელის საქმეა.

ნუღუკიძის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

წულუკიძის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 17 აგვისტოსათვის 101 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების 1949 წლის გეგმა. პარკის ჩაბარება გრძელდება.

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 17 აგვისტოსათვის 100,7 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების 1949 წლის გეგმა. პარკის ჩაბარება გრძელდება

თამბაქოს აღება

ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია თამბაქოს მასობრივი აღება. მეტ წილ ოლქებში აღება წარმატებით მიმდინარეობს. 15 აგვისტოსათვის აღებულია გაცილებით მეტი თამბაქო, ვიდრე მარშან ამ დროისათვის. ყველაზე უკეთესად იღებენ თამბაქოს საქართველოს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების კოლმეურნეობები.

პირველად ხდება საწარმოო პირობებში თამბაქოს ფოთლის ასაკმელი მანქანის გამოცდა. თამბაქოს აცმა ყველაზე შრომატევადი პროცესია მეთამბაქოობაში. (საკდესი).

ეთერ-ზეთოვანი კულტურების აღება

ყირიმის, კრასნოდარის მხარის, საქართველოს და ყირგიზეთის კოლმეურნეობებში დამთავრდა ეთერ-ზეთოვანი ყაზანლიყის ვარდის კრეფა. ახლა იღებენ ალსისა და ლავანდს. მოლდავეთის სსრ კოლმეურნეობები პირველად იღებენ რესპუბლიკისათვის ახალ კულტურას—სალს.

გაჩაღებულია ძირითადი ეთერ-ზეთოვანი კულტურის — ქონძის აღება. ქონძის აღებაზე პირველად იყენებენ კომბაინებს.

ქონძის თესლი სიმწიფის დროს ადგილად ცვივა. ეს ყოველთვის უდიდეს ზარალს იწვევდა. კომბაინების გამოყენება შაქსიმალურად აძცირებს ამ ძვირფასი კულტურის აღების ვადებს და საშუალებას იძლევა, რომ თავიდან აცილებულ იქნას დანაკარგი (საკდესი).

გოეთეს ღაბაღების 200 წლისთავი

28 აგვისტოს სრულდება დიდი გერმანელი პოეტის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს დაბადების 200 წლისთავი. მის ნაწარმოებებს ჩვენს ქვეყანაში დიდად აფაკებენ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გოეთეს ნაწარმოებები გამოიცა რუსულ, ქართულ, სომხურ, ბელორუსულ, ლატვიურ, ესტონურ, თათრულ, უკრაინულ, ფინურ და სხვა ენებზე.

საიუბილეო დღეებისათვის მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა პოეტის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეულს. მასში შევა: ლირიკა, პოემები, დრამები, პროზა და სტატიები ხელოვნებაზე.

სამეცნიერო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა გამოუშვებს გოეთეს რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეულს სასკოლო ბიბლიოთეკისათვის.

★

ამი წლის წინათ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაეცა უნგრეთის ერის და მოზაიის სამაყე შანდორ პეტეფი, რომელმაც თავისი მოკლე, მაგრამ მგზნებარე და ნაყოფიერი ცხოვრება ხალხის სამსახურს შესწირა.

უნგრეთის ხალხმა პეტეფის გარდაცვალების ამი წლისთავი ფართოდ აღნიშნა. 31 ივლისს ქალაქ ბუდაპეშტში შანდორ პეტეფის ძეგლთან მოეწყო მიტინგი. მიტინგზე საბჭოთა დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა „პროეტმ" გიორგი ლეონიძემ.

სურათზე: გ. ლეონიძე ტრიბუნაზე.

★

მოსკოვის ამბები

(„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პანორამა „ბოროდინოს ბრძოლა"

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის სახელმწიფო ცენტრალურმა სამხატვრო სარეპეტიციო სახელოსნომ დაიწყო ბატალისტი მხატვრის ფ. რუბოს ცნობილი ისტორიული პანორამის „ბოროდინოს ბრძოლის" რესტავრაცია.

ამ პანორამაში ტილოზე აღბეჭდილია 1812 წლის სამამული ომის ისტორიული ბრძოლა. პანორამის ტილოს სიგრძე 115 მეტრია, სიმაღლე — 15 მეტრი. სეტყვით ასახავს ბოროდინოს ველზე 1812 წლის 26 აგვისტოს მოახდარი ბრძოლის ყველაზე დაძაბულ მომენტს.

პანორამა „ბოროდინოს ბრძოლას" ბანგრძლივი ისტორია აქვს. იგი პირველად ეჩვენებინ მოსკოვში 1912 წელს სპეციალურად აგებულ პავილიონში, როცა შესრულდა ბოროდინოს ბრძოლის 100 წლისთავი; შემდეგ ეს ტილო სხვადასხვა მუზეუმის ფონდებში ინახებოდა. მაგრამ ფრთა ეთანარებში სოფლის ნაწილება დაზიანდა. საღებავი გაბნეოდა და ალაგალად მოსკოდა ტილოს.

სარესტავრაციო სახელოსნის დიდი მუშობა მოელია. მნიშვნელოვანი ნაწილი ტილო განახლდეს პანორამის მხატვრობა. ამაში ნონაწილეობას იღებენ გამოჩენილი მხატვრები, „ხელოვნების მეგობრები, სამხედრო სპეციალისტები, მათ შორის აკადემიკოსი გრაბარი, გენერალი სუხომლინი, ფერწერის აკადემიკოსი ალეოვი, რომელმაც რუბოსთან ერთად მიიღო მონაწილეობა პანორამის შექმნაში. რესტავრირებულ პანორამას „ბოროდინოს ბრძოლას" კვლავ უჩვენებენ მოსკოვში. მისთვის სპეციალურ შენობას აგებენ.

პოლონეთის სამრეწველო გამოფენა

გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში ეხსნება პოლონეთის სამრეწველო გამოფენა.

გამოფენა ეგიჩვენებს პოლონეთის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ზრდას. პოლონეთის ენერგეტიკული, ქვანახშირის, ქიმიის, მეტალურგიული და ლითონდამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას, დიდი ადგილი დაეთმობა პოლონეთის საფეიერო პროდუქციას. გამოფენაზე წარმოდგენილ იქნება ბამბეულის, სელის, შალეულისა და ბრეშუმის ქსოვილების ნამუშევრები. მოსკოველები ნახავენ, თუ რა მძლეველები აქვს დემოკრატიულ პოლონეთს ხის დამამუშავებელი, მეცხოელური, ტყავის, ყვავის მრეწველობის დარგში. გამოფენილ იქნება ადგილეთეგ მინი და ფაიფური, ქაღალდის მრეწველობის პროდუქცია.

გამოფენაზე ასახულ იქნება საბჭოთა და პოლონელი ხალხების ერთობლივი ბრძოლა ჰიტლერულ დამპყრობთა წინააღმდეგ და პოლონეთის განთავისუფლება საბჭოთა არმიის მიერ. გამოფენის ცენტრალურ პავილიონში მიმსულელი ნახავს წარწერას, რომელსაც ირგვლივ აქვს პოლონელთისა და საბჭოთა კავშირის ალმები: „ჩვენი ეკონომიკის განვითარებით ხელს ეფეყობა მშვიდობისა და პროგრესის ძალების ზრდას, რომლებსაც სათავეში უდგას უძლეველი საბჭოთა კავშირი".

ბოსფორის სამეფოს ძველ ნაქალაქარის გათხრა

ქერჩი, 19 აგვისტო. (საკდესი). მარის სახელობის მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიცია აწარმოებს ძველი ნაქალაქარის ილურატის ნანგრევის გათხრას. ილურატი ქერჩის ნახევარკუნძულზე არსებობდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. ციხის მძლავრ კედლებს იქით აღმოჩნდა ქალაქის უბნები, სადაც არის ქვიტკირის სახლებისა და ქუჩის ნაშთები; ამ ქუჩაზე გაყვანილია წყალსადენარი.

ერთი სახლში მრავალ საოჯახო ნივთების შორის აღმოჩნდა თიხის ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია სკვითების ქალ-ღმერთი, აგრეთვე ადგილობრივი ოსტატების მიერ ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში გაკეთებულ ფიგიათ პატარა ქანდაკებათა ხერია.

ილურატის გათხრა მკაფიოდ გვიჩვენებს ბოსფორის სამეფოს ჩკვიდრი მოსახლეობის — აღმოსავლეთ ყირიმის სკვითების კულტურას.

თორმეგნახევარი ნორმა ცალში

ქრივოი როგი, 19 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ვოროშილოვის სახელობის შახტის (მერეინსკის სახელობის შახტმმართველობა) მთხრელმა ივანე მაკარენკომ, რომელიც დადგა მეშახტის დღის სახელობის სტახანოვურ ვახტზე, მთანგრია ხუთი სანგრევი და გათხარა 7,5 მეტრი სამთო გამომუშავება. სულ ცალში მან 12,5 ნორმა შეასრულა.

მოსავლის აღება ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 17 აგვისტო. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიაში მოსავლის აღება დასასრულს ეახლოვდება. სახელმწიფო მანქანა-ტრაქტორთა სადგურები დიდ დახმარებას უწევენ მოწაფთმოქმედებსა და სახელმწიფო მეურნეობებს. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა წელს ჰექრის მოსავალი 109.547 ჰექტარზე აღიღეს. კომბაინებით აღებულია 2 ათასზე მეტი ჰექტარი.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და ბევრი ტრაქტორისტი ერთმანეთს ეჯიბრებიან მოსავლის უკეთ აღებისათვის, საწვავ-საცხებლი მასალებს ეკონომიისათვის და სხვ.

შრომითი აღმავლობა პოლონეთში

ვარშავა, 20 აგვისტო. (საკდესი). ქალაქ სოსნოვეცში შედგა ყრილობა მელითონეთა პროფკავშირის აქტივისტებისა, რომლებიც ლითონის ძრეწველობის დაახლოებით 300 საწარმოს წარმოადგენენენ.

ყრილობამ ჩაიარა სამწლიანი სამეურნეო გეგმისა და მომდინარე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით.

ყრილობამ აღნიშნა, რომ ლითონის მრეწველობის საწარმოებში ფართოდ აჩიან გაფლილი შრომითი შეჯიბრება, რომელშიც ახლა ჩაბმულია ამ მრეწველობის ყველა მუშის დაახლოებით 70 პროცენტი.

შრომით შეჯიბრებაში მოწინავეა ჩეხსტოხოვის ფოლადის კონსტრუქციების ქარხანა. აქ მუშათა 100 პროცენტი მონაწილეობს შრომითს შეჯიბრებაში.

ბრინჯი და ბამბა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 19 აგვისტო. (საკდესი). რამდენიმე წლის წინათ უნგრელი კომუნისტების ინიციატივით დაიწყო უნგრეთის ხრეთებში ახალი კულტურების — ბრინჯისა და ბამბის მოყვანის ცდები.

უნგრეთის საწარმოო სამეურნეოებმა ოლიერატორები და სახელმწიფო მეურნეობანი წარმატებით ჩატარებენ ცდებს შემდეგ წლითიწლობით ფფართოებენ ახალი კულტურების ნათესებს.

ამეკამად უნგრეთში ბრინჯი მოსავალი 102 საწარმოო კოოპერატივს და მთელ რიგ სახელმწიფო მეურნეობებს. სულ უნგრეთში წელს დათესილია 18 ათას ჰექტარზე მეტი ბრინჯი. (1 ჰექტარ ეფრის 0,57 ჰექტარს).

44 საწარმოო სამეურნეოებმა კოოპერატივს, ზოგიერთ სახელმწიფო მეურნეობას და ერთპიროვნულ მეურნეებს მოსავალი ბამბა, რომელის ნათესებსაც 530 ჰექტარ უჭირავს. ბამბის სამეურნეოებმა ჯერ ბამბის თესლი ყველაზე გამოსადეგი აღმოჩნდა უნგრეთის კლიმატური პირობებისათვის.

საბჭოთა მეთოდების გამოყენება რუმინეთში

მოსავლიანობის გასაღიდებლად

ბუქარესტი, 19 აგვისტო. (საკდესი). როგორც რუმინეთის აკადემიკოსების დეპეშათა საგენტო გიდმოგვცემს, რუმინეთ-საბჭოთა სამეცნიერო ინსტიტუტმა გასულ თვეში დაიწყო საბჭოთა სასოფლო მეურნეობებში მოსავლიანობის გასაღიდებლად საბჭოთა მეთოდების გამოყენების მთელი რიგი ცდები. პირველ ცდებს ჩინებული შედეგი მოჰყვა.

ახალი საცხოვრებელი სახლები ბუქარესტის მუშებისათვის

ბუქარესტი, 18 აგვისტო. (საკდესი). ბუქარესტში მთავრდება მუშებისათვის 21 ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. 23 აგვისტოს — რუმინეთის განთავისუფლების წლისთავის დღეს ახალ სახლებში ჩასახლებენ მუშათა პირველ 138 ოჯახს.

ვატრა ლუმინოსას რაიონში შენდება ორი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის კორპუსები. მშენებლები ერთმანეთს ეჯიბრებიან სამშენებლო სამუშაოთა ვადამდე და მაღალხარისხოვან დამთავრებისათვის.

დავით გურამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

გუშინ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა მოაწყო დავით გურამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. სალამოს დაესწრნენ დედაქალაქის სწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მდივანმა ა. გომიაშვილმა, რომელმაც დამსწრეთ მოუთხრო, თუ რა ზეიმით აღნიშნეს პოლტავისა და მთელი უკრაინის მშრომელებმა დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ძეგლის გახსნა მირგოროდში და გააშუქა ამ მოვლენის უდიდესი მნიშვნელობა ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა პროფესორმა ი. ბარამიძემ. მომხსენებელმა მოიყვანა ახალი მასალები დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების დასახასიათებლად. ეს მასალები აღმოჩენილ და შეკრებილ იქნა უკრაინელი მკვლევარების, მათ შორის, ერონარეს ყოველია, დიმიტრი კასარიკის მიერ.

მომხსენებელმა მოიყვანა ადგილები დავით გურამიშვილის ლექსებიდან და პოემებიდან, სადაც ერთმანეთთან საუკეთესოდაა შერწყმული უკრაინული და ქართული სახეები, უკრაინული და ქართული ხალხური თქმულებანი და გადმოცემები.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობისა იყო უკრაინაში დავით გურამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ზეიმი, რომელიც გადაიქცა სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის დღესასწაულად, დიდი სტალინისადმი სსრ კავშირის ხალხთა ერთგულების მძლავრ დემონსტრაციად.

მოხსენების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს მირგოროდში დავით გურამიშვილის ძეგლის საზეიმოდ გახსნის მონაწილე ქართველმა მწერლებმა — ს. შანშიაშვილმა და ბ. ელენტმა.

დავით გურამიშვილის ძეგლის გახსნისა და უკრაინაში პოეტის ხსოვნის საზეიმო აღნიშვნისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს კარლო ყალაძემ და მაყალა მრეველიშვილმა.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით, მჭეხარე ხანგრძლივი ტაშით მიიღეს მისალმება ხალხთა ბრძენი ბელადის ი. ბ. სტალინისადმი. მჭეხარე ტაშით იქნა მიღებული მისალმება აგრეთვე უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ნ. ხრუშჩოვისადმი.

საზეიმო სხდომას ეესწრებოდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. რ. შადური.

სოციალისტური შრომის გმირები

ე. ა. იოსავა

ზუბის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მოადგილე აკრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა ოავიოი მუშაობით მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმის 16 პროცენტის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.



ზ. ა. ოკროკაირაშვილი

ვანის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის მონაპოვრის" მერგოლერი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 106,6 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

დ. ი. ჭრელაშვილი

მაიაკოვსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლერი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 102,7 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის

შ. კ. თაბაშაკაშვილი

მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობის „კომუნისტი" მერგოლერი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 155,5 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 2 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად **ყურძნის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა ხახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მტა-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნნა:**

შრომის წითელი დროშის ორდენით

198. **ნინოკაშვილი** ანფრია იაგორისძე — ზესტაფონის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 77,6 ცენტნერი ყურძენი.

199. **ნინოკაშვილი** გიორგი მოსეს-ძე — ზესტაფონის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 69,5 ცენტნერი ყურძენი.

200. **ოდიშელიძე** მალხაზ სიმონის-ძე — გურჯაანის რაიონის კომინტერნის მე-7 კონგრესის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზე 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 103,3 ცენტნერი ყურძენი.

201. **ონაკაშვილი** ალექსანდრე გიორგის-ძე — თელავის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 6 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 80 ცენტნერი ყურძენი.

202. **პაიკიძე** იოველ სტეფანეს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 70,1 ცენტნერი ყურძენი.

203. **პაიკიძე** იონა ვლადიმერის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 65,3 ცენტნერი ყურძენი.

204. **პაპაშვილი** ნასყიდა არტემის-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ბლუხთა გაერთიანების“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 105,9 ცენტნერი ყურძენი.

205. **პაპაშვილი** დავით ილიას-ძე — გურჯაანის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 92,6 ცენტნერი ყურძენი.

224. **თანდილაშვილი** არტემ ნასყიდას-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,6 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 116 ცენტნერი ყურძენი.

225. **თანდილაშვილი** იოსეს ზაქარიას-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 83 ცენტნერი ყურძენი.

208. **პაპაძიძე** სიმონ ანტონის-ძე — ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის“ მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 63,9 ცენტნერი ყურძენი.

209. **პატატაშვილი** ვასილ იაკობის-ძე — წითელწყაროს რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 79,1 ცენტნერი ყურძენი.

210. **ფრუთიე** თეოფანე ბაოლომეს-ძე — ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხის წინსვლის“ მერგოლური, რომელმაც 3,6 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 67 ცენტნერი ყურძენი.

211. **ფულარიანი** კონსტანტინე ანტონის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა, რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 102,7 ცენტნერი ყურძენი.

212. **რობაკიძე** ალექსანდრე ამბაკოსძე — მაიაკოვსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 67,9 ცენტნერი ყურძენი.

213. **საგინაშვილი** სპენდა იასონის ასული — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ბლეხთა გაერთიანების“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 104,4 ცენტნერი ყურძენი.

214. **სამხარაძე** მიხეილ მინაგოს-ძე — პარტიის ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,7 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

215. **სარალიძე** ვლადიმერ ერმანოზის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზე 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 77,6 ცენტნერი ყურძენი.

216. **სვანიძე** ალექსანდრე იოსების-ძე — ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 88 ცენტნერი ყურძენი.

217. **სვანიძე** ვასილ კირილეს-ძე — ზესტაფონის რაიონის ქვედა საქარის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 85,5 ცენტნერი ყურძენი.

218. **სვანიძე** ნადია სამსონის ასული — ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობა „სინამლის“ მერგოლური, რომელმაც 3,4 ჰექტარი ვენაწის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 62,2 ცენტნერი ყურძენი.

219. **სილაკაძე** ავქსენტი ბაგრატიონის-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 68,7 ცენტნერი ყურძენი.

220. **სოლომნიშვილი** დარჩო გიორგის-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი უღნის“ მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 61 ცენტნერი ყურძენი.

221. **სომხიშვილი** ვართან საქოლას-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 62,1 ცენტნერი ყურძენი.

231. **ტყიმლაძე** ვასილ კონსტანტინეს-ძე — ზესტაფონის რაიონის ხიზნიდასის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 80 ცენტნერი ყურძენი.

*) გვგრძელება. იხ. „კომუნისტი“ №№ 162, 163, 164, 165.

საბჭოთა მთავრობის პასუხი იუგოსლავიის მთავრობის ნოტაზე საბჭოთა მოქალაქეების უკანონო დაპატიმრებათა გამო

25 ივლისს საბჭოთა მთავრობამ იუგოსლავიის მთავრობას გაუგზავნა ნოტა იუგოსლავიაში მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეების უკანონო დაპატიმრებათა გამო.

30 ივლისს იუგოსლავიის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას გამოუგზავნა სპასუხო ნოტა.

18 აგვისტოს საბჭოთა მთავრობამ იუგოსლავიის მთავრობას გაუგზავნა შემდეგი მესაარსის ნოტა:

„იუგოსლავიის მთავრობის 30 ივლისის ნოტასთან დაკავშირებით, რომელიც მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც შინაგანად ყალბი და პოლეტაკიერად უსუსური, საბჭოთა მთავრობა საგრძნობელ თვლის გაკეთილ შემდეგი შენიშვნები.

იუგოსლავიის მთავრობა თავის 30 ივლისის ნოტაში ცდილობს თავდან აიცილოს ბრალდება იუგოსლავიაში მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეების მიმართ უხეშ თვითნებობასა და სასტიკ რეპრესიებში. იუგოსლავიის მთავრობა სრული დუმილით უფლის გვერდს საბჭოთა მოქალაქეების უკანონო დაპატიმრებათა ფაქტებს, დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქეებისათვის საპყრობილეში შექმნილი ისეთი ატმосფერული და მძიმე რეჟიმის ფაქტებს, რომ ამის შედეგად ბევრი პატიმარი წამებით, ცემითა და საპყრობილეში შექმნილი ისეთი ატმосფერული და მძიმე ყოფიერ მდგომარეობამდე, რაც საფრთხეს უქმნის მათს სიცოცხლეს.

ნაცვლად ამისა, რომ პასუხი გაეცა ამ ბრალდებებზე, რომლებიც წაყენებულია საბჭოთა მთავრობის მიერ 25 ივლისის ნოტით, იუგოსლავიის მთავრობა ცდილობს შეცვალოს ეს საკითხი სხვა საკითხით, სახელდობრ საკითხით საბჭოთა მოქალაქეების უკანონო დაპატიმრებათა მოტივებზე შესახებ, და ფიქრობს ამით გამპარულოს იუგოსლავიის ორგანოების მხეცური მოპყრობა და სხვა დანაშაულობანი საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ.

1. საბჭოთა მოქალაქეების უკანონო დაპატიმრებათა და მათთან იუგოსლავიის ორგანოების მხეცური მოპყრობის მთავარ მოტივად იუგოსლავიის მთავრობის მოაყენეს ის გარემოება, რომ დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქენი წარსულში თეთრგვარდიელი ემიგრანტები იყვნენ, რომ ისინი წარსულში მტრულად გაწყობილნი იყვნენ საბჭოთა კავშირის და საბჭოთა მთავრობისადმი. თავის ნოტაში იუგოსლავიის მთავრობა ითხოვს ამას, რომ ბევრი დაპატიმრებულთაგანი წარსულში მტრულად გამოდიოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, საბჭოთა არმიის წინააღმდეგ და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ. მაგრამ ყოველივე ეს დიდი ხანია ცნობილია და რამე ახალს არ წარმოადგენს. ცნობილია, რომ ბევრი თარმტები ათასი რუსი ემიგრანტი, რომლებიც ახლა იუგოსლავიაში ცხოვრობენ, ისინიც, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა მოქალაქეობა მიიღეს, და ისინიც, რომლებმაც ეს არ გაკეთეს,—ცნობილია, რომ ეს ადამიანები საბჭოთა ხელისუფლებამ სსრ კავშირის ფარგლებიდან გაძევებენ 28 წლის წინათ, თეთრგვარდიელ გენერლებზე—ფონ-ლიზზე, ფონ-ვეფენზე, ტრანსბეზე, ფონ-ფეტენ-ტრანსბეზე ბალის ბატონი. ვასაკაბა, რომ ეს თეთრგვარდიელები იყვნენ ფაშისტურ ომის ბანაკის ბანაკის ოფიცრები, ბანდიტ-ბანდიტ-ბანდიტ-

მოსავლის აღება და პურის დამზადება

სუსტი ხელმძღვანელობის შედეგი

პურეულის ლეწვისა და სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ტემპი ახალქალაქის რაიონში არადამაკმაყოფილებელია. 15 აგვისტისათვის აქ აღებული იყო 9,488 ჰექტარი პურეული. აქედან გალეწილია მხოლოდ 257 ჰექტარის მოსავალი, გეგმის 1 პროცენტი. სალეწ პუნქტებიდან გადაზიდულია მომკილი პურის უმნიშვნელო ნაწილი. ამ ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია მინდვრად შრომის მოუწესრიგებლობა, შრომითი რესურსების გამოუყენებლობა.

მაგალითად, სოფელ გოგამენის მალინინოსკის სახელობის კოლმეურნეობაში 11 სამუშაო დღეში 83 ჰექტარი პურეული მომკეს. აქედან გალეწილია მხოლოდ 4 ჰექტარის მოსავალი. თავთავების აკრეფა ჯერაც არ დაუწყიათ. ყოველდღიურად ლეწავენ მხოლოდ ერთი კევრი მუშაობს. სალეწი მანქანა კოლმეურნეობაში 5 აგვისტოდან უქმად დგას. კოლმეურნეობის გაძეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის უდარდელობის გამო 80 მოზარდი და ძოხუცი საკოლმეურნეო შრომაში არ მონაწილეობს. კოლმეურნეობის არა აქვს მოსავლის აღების სამუშაო გეგმა, არც ის იციან, ვის ეკალება თავთავების აკრეფა, პურის მომკა და სალეწ მანქანაზე მუშაობა. ყოველივე ამას კოლმეურნეობის თავმჯდომარე აღ. თაქთაქიძე გულდამშვიდებით შესცქერის. ცუდად მუშაობს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაც (მდივანი კ. ნათიანაძე). კოლმეურნეთა შორის გაშლილი არაა მასობრივი-პოლიტიკური მუშაობა. აგიტატორები ვ. ხოსიტაშვილი, შ. ნათენაძე, ს. თაქთაქიძე თავიანთ მოვალეობას ავიწყებენ, საუბრებს არ აწყობენ. ამ კოლმეურნეობაში ხშირად დადის პარტკიკომის წარმომადგენელი ამხ. ლევან ოგანეზოვი, მაგრამ გარდატეხა დღემდე არ მომხდარა.

უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ დანგალის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაშია, 10 სამუშაო დღეში აქ ძლივს მომკეს 28 ჰექტარი პური. უგეგმო მუშაობის გამო მუშახელს სწორად ვერ იყენებენ. სოფელ ბარალეთის როკოსოფსკის სახელობის კოლმეურნეობაში მომკილი 289 ჰექტარის მოსავლიდან არც ერთი ჰექტარის მოსავალიც არ მიეტანიათ კალოზე, მაშასადამე ლეწვასაც არ შედგომიან. მსგავსი მდგომარეობაა სოფელ ვაჩიანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ სუსტია შრომის დისციპლინა. მოსავლის აღების ამ ცხარე დღეებში ვ. ბარიდმიანი, ა. იკიტიანი, აღვანი და ძანეშე ბარსამიანები, სულ 30-მდე კოლმეურნე, საკარმიდამო ნაკვეთზე მუშაობენ. კოლმეურნეობის 20 აგვისტო მარტო ერთ დღეს—15 აგვისტოს მუშაობდა კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ კოლმეურნეობაში სუსტია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

საყვედურის ღირსია ვაჩიანის მტს-იც. მათი სალეწი მანქანები ზზრიად უმოქმედოდ დგას. მაგალითად, სოფელ ოკამის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში სამი დღეა სალეწი მანქანა მიტანილია, მაგრამ მისი მოწყობა და ამოშავება ჯერაც ვერ მოუხერხებიათ.

ახალქალაქის მტს-ს 19 სალეწი მანქანა აქვს, მაგრამ ყველას სრული დატვირთვით ვერ იყენებს. მაგალითად, სოფელ კოთელის ჩოღრიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში ორი დღე სალეწი მანქანა უმოქმედოდ იდგა. მტს-ის გეგმით 1 აგვისტოდან სალეწი მანქანები ორცვლიან მუშაობაზე უნდა გადასულიყვნენ. ფაქტიურად კი დღესაც არ შეუხვიეთ სათანადო კალოები, დაკომპლექტებულია მხოლოდ ორი ბრიგადა, დაუკომპლექტებელი დარჩა 17 სალეწი მანქანის აგრეგატი.

ორიოდიდ სიტყვა „ზაგატზერნოს“ მიმდინ პუნქტზე. პუნქტის გამგე ამხ. მ. დანელიანმა განაცხადა, ყოველმხრივ ბზდე ვართ პურის მეუფფრენებივ მიღებისათვისო. შემოწმებით სულ სხვა გამოირკვა, პირველ და მეორე საწყობში სახურავი დაზიანებულია და წვიმის დროს წყალი ჩამოდის. გარდა ამისა, ამავე საწყობში გაყვანილია ელექტრომოწყობილობა, მაგრამ ნათურები არა აქვთ.

ახალქალაქის მოწინავე კოლმეურნეები წარმატებით მუშობენ მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. ისინი გამსჭვალული არიან ერთი აზრით — პირველ რიგში მოიხადონ თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე. მაგრამ ჩამორჩენილები უკან წევენ რაიონის საერთო მაჩვენებლებს. ისინი რაიონული პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოებისაგან მოითხოვენ ოპერატიულ დახმარებასა და ხელმძღვანელობას ლეწვისა და პურის დამზადების ტემპის გადაჭრით გასაძლიერებლად.

შ. ჭოტაშუა
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ნ. შარაშანიძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კომუნისტთა მეთაურობით

მოსავლის აღების დაწყების წინ ხაშურის რაიონის სოფელ ტეზრის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. მიხეილ ჩკუასელიძემ ერთხელ კიდევ შეამოწმა ყველაფერი იყო თუ არა მზად. ბრიგადებმა, რგოლებმა, კოლმეურნეებმა კარგად იცოდნენ, თუ ვის უნდა ემუშავნა პურის მკაზე, დაბულულებაზე, თავთავების აკრეფაზე, კომბაინის აგრეგატზე, სალეწ მანქანაზე.

მეორე დღეს კოლმეურნეობის მინდერებზე კომბაინმა დაიწყო ვუგუნი. კოლმეურნეები მასობრივად გავიდნენ პურეულის მკაზე. მოსავლის აღების პირველ დღეებშივე დაწინაურდა № 1 ბრიგადა, რომელსაც თვით პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. მ. ქაუსალიძე ხელმძღვანელობს. მას არ ჩამორჩა № 3 ბრიგადაც, რომლის ხელმძღვანელია კომუნისტი ნიკოლოზ ბაბიაშვილი. ბრიგადებმა ისე მოაწყეს შრომა, რომ მოსავლის აღება და ალაგებზე მიზიდვა შეწყობილად მიმდინარეობდა.

კომუნისტმა მერკოლურებმა ნ. მანჩხაშვილმა, ა. აბრამაშვილმა, ქსენია ხარტიშვილმა, მთიკო აბრამაშვილმა, ა. ბეროზაშვილმა, გ. გუდაძემ და სხვებმა მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის ურთიერთ შორის გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება. მალე კოლმეურნეობის მინდერებზე დაიდგა ხორცის ზვინები. აგუგონდა ტმს-ის სალეწი მანქანაც. პარტიული ორგანიზაციის მდივანმა პურის გაცხრილვა-განიავებაზე შერჩეულ ქალთა ჯგუფს სათავეში ჩაუყენა კომუნისტები, ენერგიული კოლმეურნეები ელენე ბეროზაშვილი და მთიკო ბირკაძე, რომლებიც მუყაითი შრომის საუკეთესო მაგალითს უჩვენებენ დანარჩენებს.

მოსავლის აღების დღეებში გაცხოველდა საბგიტაციო მუშაობაც. მოწინავე აგიტატორებმა კედლისა და საველე გაზეთები გამოუშვეს.

პურის ლეწვის პირველ დღეებშივე სალეწ მანქანასა დეფექტები აღმოაჩინდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, კომუნისტმა გიორგი გვარამაძემ პარტიული ორგანიზაციის მდივანთან ითათბირა. ვინაიდან სალეწის დალოდება პურის ჩაბარების გაჭიანურებას გამოიწვევდა, გადაწყვიტეს სარქაროდ ჩამოეყვანათ მთაში საზაფხულო სამეურნეო გარეკანი მუშაპირტყვი, შეებათ ქალები. ასეც მოხდა. მალე კოლმეურნეობაში 8 ქალი მოეწყო. ორჯერ და უფრო მეტად გაფიდდა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ტემპი.

კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩაბარა პირველი ხარისხის 88 ცენტნერი ხორცი, რითაც შეასრულა საკადებულო ჩაბარების გეგმა, ამასთან 155 ცენტნერი ჩაბარა ნატურანაზღაურების ანგარიშში.

ტეზრელ კოლმეურნეებს ამჟამად გასაღები აქვთ 50 ჰექტარის მოსავალი. ხორბლით ივსება კოლმეურნეთა საწყობები და ბეღლები. ყოველ ჰექტარზე კოლმეურნეობა 16-17 ცენტნერ ხორბალს იღებს. პურის ლეწვასთან ერთად გრძელდება ნატურანაზღაურების ანგარიშში პურის ჩაბარება. ამ საქმეს კომუნისტები უდგანან სათავეში.

ვ. გუგბენიძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ნაკლოვანებები გამოსწორებულია

გაზეთ „კომუნისტის“ 23 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენტი სათაურით „ბოდის შორაქის პური“, რომელშიც აღნიშნული იყო მთელი რიგი ნაკლოვანებანი პურეულის მოსავლის აღების საქმეში.

საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. ვ. მორიანაშვილი გვატყობინებს: კორესპონდენციაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიღებულ იქნა სათანადო ზომები. პარტიის რაიონულ კომიტეტში მოწვეულ მტს-ების დირექტორების, მათი მოადგილეების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირზე განხილულ იქნა აღნიშნული კორესპონდენცია, და მიეთითათ: წითელწყაროს მტს-ის დირექტორს ამხ. ბიწაძეს — კომბაინერ სეხნიაშვილის მიერ დაშვებული მოსავლის დანაკარგებისათვის, მირზაანის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში მომშეავე კომბაინერ ნამჯის შემგროვებლის მოხსნისათვის და არბაშიკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინების ზზირი გაცდენისათვის; შორაქის მტს-ის დირექტორს ამხ. კაპარავას — კომბაინერი ი. ბეგიაშვილის მიერ დაშვებული მოსავლის დანაკარგებისათვის და მიღებული მოსავლის აღრიცხვის მოუწესრიგებლობისათვის.

რაიკომის მიეროომ მიეთითა ნაკლოვანებებისათვის სოფელ ზემოქედის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ თავმჯდომარე ს. ბექაურს, წითელწყაროს კოლმეურნეობა „კომეზარის“ თავმჯდომარეს კ. მაკალარაძეს, ზემო ქედის კოლმეურნეობა „შრომის იმედის“ თავმჯდომარეს კობიაშვილს, მირზაანის კოლმეურნეობა „კომუნის გზის“ თავმჯდომარეს პოპიაშვილ და მირზაანის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. მანგაშვილს და დაუსახა მათ პრაქტიკული ღონისძიებანი. მიღებული ზომების შედეგად კორესპონდენციაში აღნიშნული ნაკლოვანებანი ფრაზულად იქნა გამოსწორებული.

,,კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ბოლოს ეცალა

ბორჯომის ტმს-ის ავტოსადგომი ბორჯომ-ბაკურიანის ავტომაგისტრალზე ბოლო ხანებამდე ფუნქციონირებდა.

ბერლინის კომენდანტების თათბირი

ბერლინი, 19 აგვისტო. (საყდესი). 18 აგვისტოს საკონტროლო სამმის შენობაში შედგა ბერლინის კომენდანტების საკონტროლო თათბირი. თათბირში, რომელიც ამერიკელი კომენდანტის, ბრიგადის გენერალ ჰაელის თავმჯდომარეობით ძმიდინარეობდა, მონაწილეობა მიიღეს გენერალ-მაიორმა კოტკოვმა (სსრ კავშირი), დივიზიის გენერალმა განვეფალი (საფრანგეთი), გენერალ-მაიორმა ბორნმა (ინგლისი).

კომენდანტები წინასწარ შეთანხმდნენ აღმოსავლეთ ზონისა და ბერლინის აღმოსავლეთ სექტორის საფოსტო მარკების დასავლეთ სექტორებში კანონიერი სინამდვილის და ბერლინის დასავლეთი სექტორების საფოსტო მარკების აღმოსავლეთ სექტორსა და აღმოსავლეთ ზონაში კანონიერი სინამდვილის აღიარების შესახებ. ამის შესახებ ამბავი გაუქმებულ უნდა იქნას საფოსტო კორესპონდენციის დამატებითი საზღვრით. ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ამერიკელი კომენდანტის მოთხოვნით, გადადებულია შემდეგ თათბირამდე.

გარდა ამისა, მოგვარებულ იქნა საკითხი გერმანიის დასავლეთი ზონებიდან ბერლინში საფოსტო კორესპონდენციის გადაზავნის წესის შესახებ.

საბჭოთა კომენდანტმა წინადადება შეიტანა განხილული ყოფილიყო საკითხი ქალაქის ცხოვრების ნორმალიზაციისათვის წარმოებულ მუშაობაში ქალაქის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილების გერმანული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩაბმის შესახებ. საბჭოთა კომენდანტმა ამასთან შემდეგი განაცხადა:

„კომენდანტების თათბირზე ჩვენ განიხილეთ მთელი რიგი კონკრეტული საკითხები, რომელიც ბერლინის ცხოვრების ნორმალიზაციას ეხება. ისინი ეხება ქალაქის ცხოვრების სხვადასხვა დარგებს: ჯანმრთელობის დაცვას, ფოსტას, ეკონომიკურ საქმეს, კომუნალურ მეურნეობას და სხვ. ყველა ეს საკითხი კარგად საკითხებია, მაგრამ მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ბერლინის მოსახლეობის ნორმალური ცხოვრებისათვის. ეჭვეული, არის სხვა ამგვარი საკითხებიც. საბჭოთა კომენდატურის აზრით, ყველა ეს საკითხი შეიძლებოდა წარმებული ყოფილიყო განხილული და, ყოველ შემთხვევაში, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეთანხმებული ყოფილიყო გერმანულ ორგანოებთან. ასეთი წესი მუშაობას შეიმსუბუქებს კომენდატების საკონსულტაციო თათბირებს. ორივე მაგისტრატის ზოგიერთ რგოლში უკვე გადაიდგა ნაბიჯები ამ მიმართულებით. როცა ბერლინში ორი მაგისტრატი არსებობს, უკვე მიღწეულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული გერმანული ორგანოების კონტაქტზე.

ზემოთქმულის გამო საბჭოთა კომენდატურას მიზანშეწონილად მიაჩნია წინადადება მისცეს კომენდანტებს განიხილონ საკითხი ბერლინში არსებულ ორ გერმანულ მაგისტრატსა და მთ ორგანოებს შორის ბერლინის ცხოვრების ნორმალიზაციის კონკრეტულ საკითხებზე კონტაქტის სათანადო ფორმების დაწესების შესახებ და კომისიებისაგან გერმანული ორგანიზაციების წარმომადგენლოთა ჩაბმის ყველასათვის მისაღები წესის შესახებ. ეს მეტად მნიშვნელოვანი წესელი იქნებოდა ბერლინის ცხოვრების ნორმალიზაციის კონტროლის საქმეში.

გერმანელი ორგანოების მიზიდვის საჭიროება ბაზგასმით არის აღნიშნული საგარეო საქმეთა მინისტრების პარიზის 1949 წლის 20 ივნისის კომუნიკეს 4 და 6 პუნქტებში. საჭიროა გავითვალისწინოთ ეს მითითება და გამოვნახოთ მისი რეალიზაციის პრაქტიკული მეთოდი".

ამერიკელმა, ბრიტანელმა და ფრანგმა კომენდანტებმა საბჭოთა წინადადება შესასწავლად მიიღეს და იგი განხილულ იქნება კომენდანტების შემდეგ საკონსულტაციო თათბირზე.

გარდა ამისა, საბჭოთა კომენდანტმა თათბირზე შეიტანა აგრეთვე ზოგიერთი კონკრეტული წინადადება, რომელნიც ეხება ქალაქის ცხოვრების პირობების ნორმალიზაციას, სახელდობრ:

1. ბერლინში მაღაზიებისა და რესტორანების ქსელის აღდგენის შესახებ, რომლებიც ქალაქის ცხოვრებლებს შესაძლებლობას მისცემენ დაუბრკოლებლად იყიდონ ბარათებით კვების პროდუქტები, ან იყვანონ რესტორანებში, იმის მიუხედავად, თუ ქალაქის რომელ სექტორში ცხოვრობენ.

2. ბერლინში ვენერიდან დაავადებებთან ბრძოლის ერთიანი პრინციპების დაწესების შესახებ.

4. ბერლინში ღორის ჩირისა და შინაური ცხოველების სხვა დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ღონისძიებების დაწესების შესახებ.

თავის მხრივ ამერიკელმა და ფრანგმა კომენდანტებმა შეიტანეს წინადადება ქალაქის კავშირგაბმულობისა და ფანსანების ზოგიერთი საკითხის განხილვის შესახებ.

ყველა ეს წინადადება განხილულ იქნება კომენდანტების შემდეგ თათბირზე.

ბერლინის მშრომელები აღნიშნავენ ერნსტ ფელმანის ხსოვნას

ბერლინი, 19 აგვისტო. (საყდესი). 5 წლის წინათ, 1944 წლის 18 აგვისტოს ფაშისტმა ბანდიტებმა ბუხენვალდის ბანაკში მოაკლეს გერმანიის მუშათა კლასის ბელადი ერნსტ ტელმანი. 11 წლის მანძილზე ჰიტლერელ ჯალათებს სამპატიმროს საკენკში ჰყავდათ ტელმანი. მაგრამ იგი იქაც საშინი იყო ფაშისტი ბანდიტებისათვის. 17 აგვისტოს ღამით სსესელებმა ტელმანი ბიუკენის სატატმოდან ბუხენვალდის ბანაკში გადაიყვანეს და ფარულად მოკლეს ზეგრეში სროლით. მატყუარა გებელსმა რამდენიმე დღის შემდეგ განაცხადა, თითქოს ტელმანი დაღუპა 1944 წლის 28 აგვისტოს ბუხენვალდის ბანაკზე ავიაციის თავდასხმის დროს. ბანაკის ყოფილმა პატიმრებმა შემდეგ ამხილეს ეს სიცრუე. ოთხი სსესელი ავაზაკი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ტელმანის მოკვლაში, ჩოგორც გერმანელი პრესა იუწყებოდა, დაატყვევეს ჩეკეთ ამერიკელ ხელისუფალთ, მაგრამ ისინი დღემდე არ წარმდგარან სასამართლოს წინაშე თავის ბოროტმოქმედებისათვის.

გუშინ გერმანიის საბჭოთაწინააღმდეგ ოპერის შენობაში შედგა ბერლინის მშრომელთა საზეიმო-სამამლოო სხდომა, მიძღვნილი ტელმანის მოკვლის მეტუოე წლისთავისადმი. მოხსენება ერნსტ ტელმანის საბრძოლო გზის შესახებ გააკეთა გერმანელის ერთი სოციალისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა ვალტერ ულბრიხტმა.

ულბრიხტმა გიახსენა ის მეფიდრო კავშირი, რაც მუდამ არსებობდა ტელმანსა და გერმანელის მუშათა კლასს შორის, გიახსენა ტელმანის უდიდესი როლი რევოლუციური მუშათა კადრების გამოზრდისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის განვითარების საქმეში. „ერნსტ ტელმანის ისტორიული დამსახურება ის არის,—განაკუთალ ულბრიხტმა,—რომ კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის ხელშეკრულებით შექმნილ გერმანიის კომუნისტური პარტია მან რევოლუციურ მასობრივ პარტიად გადაიქცია. იგი პირველი იყო, ვისაც ლენინსა და სტალინის მოძღვრება სისტემატურად შეჩვენდა — გერმანის მუშათა კლასსა და გერმანელ ხალხში".

შემდეგ ულბრიხტმა ილაპარაკა ერნსტ ტელმანის ბრძოლაზე ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ. გერმანელი ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. ტელმანი ყველა საჭვოთა ადამიანის მეგობარი და აშმანაგი სტალინის მოწაფე.

მატიანეზე წაკითხულ იქნა დასავლეთ გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის მაქს რეიმანის დეპეშა.

3-მპრეზენტი ტელმანის ხსოვნისადმი მიძღვნილ მატიანეზე გამოვდა ერნსტ ტელმანის ქვრივი—როზა ტელმანი.

ბერლინის მშრომელები იარალს არ აღმართავენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ!

„ინდოეთის მშრომელები იარალს არ აღმართავენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ"

დელი, 18 აგვისტო. (საყდესი). ინდოეთში ფართოდ ეფინება სახალხო მოძრაობა მტკიცე მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, ომის ინგლისელ და ამერიკელ გამაჩაგვრელთა და მათ ხელშემწყობთა წინააღმდეგ. დიდუზაბადში შედგა ხალხმრავალი მიტინგი მშვიდობის დასაცავად.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „ინდოეთის მუშები არაფითარ გარემოებაში არ აღმართავენ იარაღს საბჭოთა კავშირის—მშვიდობისა და დემოკრატიის უდიდესი დამცველის წინააღმდეგ. თუ ომპერალისტები შეეცდებიან გადაქცევნ ჩვენი ქვეყანა სამხედრო ბაზად საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის, ისინი ინდოეთი ხალხის ტტკაცე წინააღმდეგობას წააწყდებიან. ინდოეთის მუშათა კლასი მთელი მსოფლიოს მუშათა კლასთან ერთად იბრძოლებს მშვიდობისა, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის".

მეორე რეზოლუციაში მიტინგის მონაწილენი მოითხოვენ, რომ ინდოეთის მთავრობამ დაუყოვნებლივ გაუწყვიტოს ყოველგვარი კავშირი ბრიტანეთის ომპერიასთან, შემაცოლოს არმიისა და პოლიციის ხარჯები, ეკონომიის ხარჯზე შექმნას პირველი საჭიროების საგნების დამამშვიდებელი საწარმოები და სამუშაო მისცეს უმუშევრებს.

ალაპაბადის უნივერსიტეტში შედგა მიტინგი მშვიდობისა და დემოკრატიის დასაცავად. რომელიც მიაუწეს სრულიად ინდოეთის სტუდენტთა ფედერაციამ და ინდოეთის პროკურესულ მწერალთა ასოციაციამ.

მიტინგის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი მწერალი პახარი. პროკურესულ მწერალთა ასოციაციის მდივანმა პრაყაშ ჩანდრა გუპტამ თავის სიტყვაში განაცხადა: „ინდოეთის გაბატონებული ელიტა შეეფერთდა ომისა და ინტრიგიერიზმის ბელას... ინდოელი ხალხი კი არასოდეს არ იქნება ომის გამაჩაგვრელთა მხარეზე".

მიტინგზე სტუდენთ გამოსული სხვა ორატორები მოეწოდებდნენ მშვიდობისა და ეროვნული დემოკრატიისათვის, ბრძოლისაკენ. ინგლისამერიკის ომპერიალიზმის ინდოელი ვასალების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ბერმანიის მშრომელები აღნიშნავენ ერნსტ ფელმანის ხსოვნას

ბერლინი, 19 აგვისტო. (საყდესი). 5 წლის წინათ, 1944 წლის 18 აგვისტოს ფაშისტმა ბანდიტებმა ბუხენვალდის ბანაკში მოაკლეს გერმანიის მუშათა კლასის ბელადი ერნსტ ტელმანი. 11 წლის მანძილზე ჰიტლერელ ჯალათებს სამპატიმროს საკენკში ჰყავდათ ტელმანი. მაგრამ იგი იქაც საშინი იყო ფაშისტი ბანდიტებისათვის. 17 აგვისტოს ღამით სსესელებმა ტელმანი ბიუკენის სატატმოდან ბუხენვალდის ბანაკში გადაიყვანეს და ფარულად მოკლეს ზეგრეში სროლით. მატყუარა გებელსმა რამდენიმე დღის შემდეგ განაცხადა, თითქოს ტელმანი დაღუპა 1944 წლის 28 აგვისტოს ბუხენვალდის ბანაკზე ავიაციის თავდასხმის დროს. ბანაკის ყოფილმა პატიმრებმა შემდეგ ამხილეს ეს სიცრუე. ოთხი სსესელი ავაზაკი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ტელმანის მოკვლაში, ჩოგორც გერმანული პრესა იუწყებოდა, დაატყვევეს ჩეკეთ ამერიკელ ხელისუფალთ, მაგრამ ისინი დღემდე არ წარმდგარან სასამართლოს წინაშე თავის ბოროტმოქმედებისათვის.

გუშინ გერმანიის საბჭოთაწინააღმდეგ ოპერის შენობაში შედგა ბერლინის მშრომელთა საზეიმო-სამამლოო სხდომა, მიძღვნილი ტელმანის მოკვლის მეტუოე წლისთავისადმი. მოხსენება ერნსტ ტელმანის საბრძოლო გზის შესახებ გააკეთა გერმანელის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა ვალტერ ულბრიხტმა.

ულბრიხტმა გიახსენა ის მეფიდრო კავშირი, რაც მუდამ არსებობდა ტელმანსა და გერმანელის მუშათა კლასს შორის, გიახსენა ტელმანის უდიდესი როლი რევოლუციური მუშათა კადრების გამოზრდისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის განვითარების საქმეში. „ერნსტ ტელმანის ისტორიული დამსახურება ის არის,—განაკუთალ ულბრიხტმა,—რომ კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის ხელშეკრულებით შექმნილ გერმანიის კომუნისტური პარტია მან რევოლუციურ მასობრივ პარტიად გადაიქცია. იგი პირველი იყო, ვისაც ლენინსა და სტალინის მოძღვრება სისტემატურად შეჩვენდა — გერმანის მუშათა კლასსა და გერმანელ ხალხში".

შემდეგ ულბრიხტმა ილაპარაკა ერნსტ ტელმანის ბრძოლაზე ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ. გერმანელი ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. ტელმანი ყველა საჭვოთა ადამიანის მეგობარი და აშმანაგი სტალინის მოწაფე.

მატიანეზე წაკითხულ იქნა დასავლეთ გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის მაქს რეიმანის დეპეშა.

3-მპრეზენტი ტელმანის ხსოვნისადმი მიძღვნილ მატიანეზე გამოვდა ერნსტ ტელმანის ქვრივი—როზა ტელმანი.

მშვიდობისათვის, ომის გამჩაგვრელთა წინააღმდეგ!

„ინდოეთის მშრომელები იარალს არ აღმართავენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ"

დელი, 18 აგვისტო. (საყდესი). ინდოეთში ფართოდ ეფინება სახალხო მოძრაობა მტკიცე მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, ომის ინგლისელ და ამერიკელ გამაჩაგვრელთა და მათ ხელშემწყობთა წინააღმდეგ. დიდუზაბადში შედგა ხალხმრავალი მიტინგი მშვიდობის დასაცავად.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „ინდოეთის მუშები არაფითარ გარემოებაში არ აღმართავენ იარაღს საბჭოთა კავშირის—მშვიდობისა და დემოკრატიის უდიდესი დამცველის წინააღმდეგ. თუ ომპერალისტები შეეცდებიან გადაქცევნ ჩვენი ქვეყანა სამხედრო ბაზად საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის, ისინი ინდოეთი ხალხის ტტკაცე წინააღმდეგობას წააწყდებიან. ინდოეთის მუშათა კლასი მთელი მსოფლიოს მუშათა კლასთან ერთად იბრძოლებს მშვიდობისა, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის".

ჩიგოს ხროვა ამერიკულ კოლონიზაციას უმზადებს იუგოსლავიას

ლონდონი, 18 აგვისტო. (საყდესი). ლონდონის რადიოს ცნობით, გუშინ ბელგრადში ჩამოვიდა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სპეციალური კომისია, რათა ადგილობრივ განიხილოს იუგოსლავიის მთავრობის თხოვნა მისთვის სესხის მიცემის შესახებ. კომისია იუგოსლავიაში რამდენიმე კვირას დარჩება და „შეისწავლის" სხვადასხვა პროექტს.

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. (საყდესი). ნიუ-იორკის რადიოს ცნობით, დღეს თეთრ სახლში გამართულ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტმა ტრუმენმა მოიწონა, რომ იუგოსლავიის მთავრობამ ფოლდსმსხვილი ქარხნის მოწყობილობა ამერიკელი ფირმისაგან ყიდოდა.

ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და ინგლისის სამხედრო წარმომადგენლობათა თათბირი მელბურნში

სიდნეი, 19 აგვისტო. (საყდესი). 20 აგვისტოს მელბურნში დაიწყება აღმოსავლეთ, ახალი ზელანდიის სამხედრო წარმომადგენლებისა და კავშირგაბმულობის ინგლისელი სამხედრო ოფიცრების თათბირი. ავსტრალიის თავდაცვის მინისტრმა ლუდმანმა განაცხადა, რომ ეს თათბირი ერთ კვირას გასტანს და რომ იგი მოწვეულია ავსტრალიის თავიანთის ინიციატივით.

გაზეთი „სიდნეი მორნინგ ჰერალდი" დღეს წერს, რომ, როგორც ფიქრობენ, თათბირზე განხილულ იქნებ საკითხებს ავსტრალიაში რაკეტის ტესტების ინპერიასთან, შემაცოლოს არმიისა და პოლიციის ხარჯები, ეკონომიის ხარჯზე შექმნას პირველი საჭიროების საგნების დამამშვიდებელი საწარმოები და სამუშაო მისცეს უმუშევრებს.

ალაპაბადის უნივერსიტეტში შედგა მიტინგი მშვიდობისა და დემოკრატიის დასაცავად. რომელიც მიაუწეს სრულიად ინდოეთის სტუდენტთა ფედერაციამ და ინდოეთის პროკურესულ მწერალთა ასოციაციამ.

მიტინგის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი მწერალი პახარი. პროკურესულ მწერალთა ასოციაციის მდივანმა პრაყაშ ჩანდრა გუპტამ თავის სიტყვაში განაცხადა: „ინდოეთის გაბატონებული ელიტა შეეფერთდა ომისა და ინტრიგიერიზმის ბელას... ინდოელი ხალხი კი არასოდეს არ იქნება ომის გამჩაგვრელთა მხარეზე".

მიტინგზე სტუდენთ გამოსული სხვა ორატორები მოეწოდებდნენ მშვიდობისა და ეროვნული დემოკრატიისათვის, ბრძოლისაკენ. ინგლისამერიკის ომპერიალიზმის ინდოელი ვასალების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ნაციონალური შემოსავლის ზრდა პოლონეთში

ვარშავა, 18 აგვისტო. (საყდესი). 1938 წელს პოლონეთის ნაციონალური შემოსავალი 15,4 მილიარდ ზლოტს შეადგენდა. 1945 წელს იმ უდიდესი ნგრევის შედეგად, რაც პოლონეთის სახალხო მეურნეობას გერმანელებმა დაუყენეს, ეს შემოსავალი ერთიორად შემცირდა.

მაგრამ უკვე წარშან ნაციონალურმა შემოსავალმა 18 მილიარდ ზლოტს მიაღწია და ომამდელ დონეს გადაკაბარა.

წელს—პოლონეთის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სამწლიანი გეგმის დასკვნითს წელს—ნაციონალური შემოსავალი გეგმის თანახმად 21,2 მილიარდ ზლოტს შეადგენს.

კიდევ უფრო საგულისხმოა ნაციონალური შემოსავლის ზრდა ერთ მცხოვრებზე. 1938 წელს პოლონეთის ერთ მცხოვრებზე შემოსავალი 447 ზლოტს შეადგენდა, 1947 წელს—619 ზლოტს, 1948 წელს—744 ზლოტს, 1949 წლის გეგმით—868 ზლოტს.

ნაციონალური შემოსავლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პოლონეთის სახალხო მეურნეობაში სოფლის მეურნეობასთან შედარებით სამრეწველობის ძნიშვნელობა. ამავე დროს ნაციონალურ შემოსავალში წლითიწლობით ძლიერდება განსაზოგადოებრივი სექტორის როლი. ნაციონალური შემოსავალში განსაზოგადოებრივი სექტორის შემოსავალი წელს 66 პროცენტს შეადგენს.

ახალგაზრდობისა და სგუდენგბების საერთაშორისო ფესტივალზე

ბუდაპეშტი, 19 აგვისტო. (საყდესი). ახალგაზრდობისა და სტუდენტების საერთაშორისო ფესტივალზე დამთავრდა მომზეურალთა გუნდების კონკურსი.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 9 ქვეყანის, მათ შორის სსრ კავშირის, უნგრეთის, პოლონეთის, ბულგარეთის, ინგლისისა და სხვ 19 გუნდმა.

კონკურსის ეიერის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, პირველი პრემია მიენიჭა სტალინის სახელობის მოსკოვის ავტომარსნის მუშათა ახალგაზრდობის გუნდს, მეორე პრემია —ხელგარეულ გუნდს, მესამე — უნგრეთ ქალთა გუნდს, მეოთხე — პოლონურ გუნდს.

მეშაბტეთა ინგლისურმა გუნდმა და ფრანგულმა გუნდმა, ისე როგორც ზოგიერთმა სხვამ, ქცევის სიგლუვეი მიიღეს.

გარდა ამისა, ეიერმა გამოყო და ბუდაპეშტ პიონერთა გუნდს მიანიჭა სპეციალური პრემია.

ფხენიანში იღღესასწაულს კორეის განთავისუფლების მე-4 წლისთავი

ფხენიანი, 19 აგვისტო. (საყდესი). 15 აგვისტოს—კორეის განთავისუფლების დღე — კორეელი ხალხის ეროვნული დღესასწაული. ფხენიანის რამდენიმე ასეული ათასი მცხოვრები ამ დღეს ქუჩებში ეამოვიდა, რათა აღენიშნა სახელოვანი სამეფოთა ერთის ეროვნული ეროვნული ეროვნული